ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5701919

ნომერი: AR1860385

თარიღი : 04.11.2021

გაცემის თარიღი : 26.11.2021

გაცნობის თარიღი : 13.01.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოჯორი , კიკეთი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლიანა მიქაძე პ/ნ 01024060174
- თბილისი ბ.კრავეიშვილის ქ. N 4ბ ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 4 ნოემბრის №AR1860385 განცხადების (რომელიც ეხება სამსახურში ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეჩერების საკითხს) პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი განცხადება არასწორად იქნა დარეგისტრირებული წინამდებარე ველში - „ცვლილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში“.

ამასთან, სამსახურში ფიქსირდება დავით ტყაბლაძის 2021 წლის 4 სექტემბრის №AR1848635 განცხადება (შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე). აღნიშნულ განცხადებაში სხვა პირებთან ერთად მითითებული ხართ თქვენც (როგორც ერთ-ერთი განმცხადებელი).
რაც შეეხება, თქვენს 2021 წლის 25 ოქტომბრის №19/012129837-10 ადმინისტრაციულ საჩივარს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით ამ ეტაპზე არ არის მიღებული გადაწყვეტილება. სამსახური იხელმძღვანელებს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.